ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 193
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
(საქონლის შესყიდვა)

12 აგვისტო 2015 წელი

ზესტაფონი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (შემდგომში–შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11) და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე ,,კახა დევიძე" (შემდგომში–მომწოდებელი) (მისამართი ზესტაფონი, ჭანტურიას ქუჩა N 2) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 22 ივლისის N43 888 ბრძანების, 2015 წლის 11 აგვისტოს N 43 983 ბრძანებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2015 წლის 06 აგვისტოს N1653–43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლასიფიკატორის კოდით -30200000- გამარტივებული შესყიდვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 22 ივლისის #43/888 ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოსათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის (პროცესორი, მონიტორი, პრინტერი და სხვა)) შეძენა.

ცხრილი N 1

N	საქონლის (სამუშაოს, შესყიდვა) დასახელება	ზომის.ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	თანხა ლარებში
1.	სისტემის ბლოკი (კეისი)	ცალი	2	790	1580
2	სისტემური ბლოკი(კეისი)	ცალი	2	840	1680

3	მრავალფუნქციური პრინტერი	ცალი	1	400	400
4	მრავალფუნქციური პრინტერი	ცალი	1	440	440
5	მონიტორი	ცალი	1	250	250
6	UPS	ცალი	5	90	450
7	კატრიჯი	ცალი	2	35	70
8	**სულ**				**4870**

მუხლი 4.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4 870 (ოთხიათას რვაას სამოცდა ათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებთ გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ)მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესარულება;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორების მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;
გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება;
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

მუხლი 6. საქონლის ხარისხი, გარანტია და მიწოდების ადგილი,შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 1 წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება , რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მომწოდებლის მიზეზით, მომწოდებელი ვალდებულია წუნი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, ან შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო. თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს

აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა), გამოვლენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.
6.3. საქონლის მიწოდების ადგილია- ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 11.
6.4 მოწოდების ვადა –განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 17 აგვისტოს ჩათვლით .

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
7.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის N 43/283. ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. საქონლის მიღება წარმოებს სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;
9.2. ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
9.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში .
9.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს აკისრებათ პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარჩენილი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 16.დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე
17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლის 18. მხარეთა იურიდიული მისამართები, ხელმოწერები ,რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
გამგეებელი

ტარიელ თუთარაშვილი

სს ,,ლიბერთი ბანკი" ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა N GE03LB0120177576710000
ს/კოდი: 230087045
მის: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 11
ტელ: 0(492) 25 26 26

მომწოდებელი:

ინდ.მეწარმე ,, კახა დევიძე"

GRUZA
18001001272

„ბანკი რესპუბლიკა"

GE29BR0000010594802393
ს/კოდი: 18001001272
ბანკის კოდი: REPLGE22
მის: ზესტაფონი, ჭანტურიას ქუჩა N2
ტელ: 598 33 07 33

ვიზირების ავტორები:

მალხაზ მაჭავარიანი

ნატალია სამთელაძე

ტარიელ სახელაშვილი

ბორის ჭიჭინაძე